ნინო მაისურაძე •

მიხაკო წერეთლის მიერ განხილული ერის ევროპული თეორიები („ერი და კაცობრიობა“) ••

აბსტრაქტი

1893-1917 წლებში საქართველოში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ემატებოდა დამოუკიდებლობის პრობლემა. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და შესაბამისად, რუსეთში განვითარებულ პოლიტიკური მოვლენებს გავლენა ჰქონდა ქართულ რეალობაზეც. ერის ერთიანობის აღსადგენად და კონსოლიდირების გზების ძიებაში ქართველი პოლიტიკური ელიტის ნაწილი ირჩევდა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას, თეორიულ საფუძვლად ირჩევდნენ ევროპელი ცნობილი ავტორების მიერ შემუშავებულ ერის კონცეფციებს. 1893-1917 წლებში საქართველოში გავლენიანი ევროპული ერის თეორიების შესწავლის საშუალება არის მიხაკო წერეთლის 1910 წელს გამოცემული ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“, სადაც ავტორი გამოყოფს ყველა იმ ევროპულ ერის კონცეფციებს, რომელებიც აქტუალური იყო საქართველოში და რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს მასზე. კვლევა არის თვისებრივი, გამოყენებულია: მეორადი წყაროების ანალიზის და შინაარსობრივი ანალიზის საკვლევი მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ერის ცნება, მიხაკო წერეთელი, ერის თეორიები.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი

•• კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [№ PHDF-22-3237].

შესავალი

თანამედროვე სახით ქართველი ერის ფორმირებაში მნიშვნელოვანი პერიოდია 1893-1917 წლები, როდესაც ხდება ერის კულტურული თვალსაზრისით ფორმირება და ამ კულტურული ეტაპიდან პოლიტიკურ ფაზაზე გადასვლა. ამ პერიოდში კი ეროვნული სოლიდარობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი გზა იყო ევროპულ კულტურაზე ორიენტირება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქართველ ინტელიგენციას დამოუკიდებლობის მოსაპოვებელ გზად ევროპულ სამყაროსთან უწყვეტი კულტურული კავშირი ესახებოდა. ევროპულ ცივილიზაციასთან სიახლოვე პოლიტიკური ინტელიგენციისთვის ქართველი ერის გამოღვიძების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ითვლებოდა. დღეს ქართულ სამეცნიერო წრეებში ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას იმ ევროპელ ავტორებზე, რომლებმაც 1893-1917 წლებში დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველთა ნაწილზე.

საქართველოს ისტორიაში 1893-1917 წლები გამოირჩევა ეროვნულ საკითხზე გამართული მწვავე დისკუსიით, რომელშიც დაპირისპირებულ ძირითად მხარეებს პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ. ეროვნული პოზიციის დამცველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების უმეტესობა (ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, გერონტი ქიქოძე...) ყურადღებას ამახვილებდა ევროპული ერის განსხვავებულ თეორიებზე, თუმცა იყო ისეთი კონცეფციებიც, რომლებზეც ქართველი მოღვაწეების უმეტესობა საუბრობდა (მაგ. ერნესტ რენანი და მისი ცნობილი მოხსენება „რა არის ერი?“, 1882 წ.). ეროვნული პოზიციების დამცველთა აქტიურობის მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პარტია მეტი პოპულარობით და მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა. თავად ხალხისთვის გაცილებით მომხიბვლელი იყო იმ კონკრეტულ პერიოდში სოციალუ-

რი უთანასწორობის მოსპობის დაპირება, ვიდრე თუნდაც დამოუკიდებლობის მიღწევა. პოლიტიკოსების, ისევე როგორც საზოგადოების, ნაწილი თვლიდა, რომ უპერსპექტივო იყო სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა. ასეთი ნაწილისათვის უფრო მისაღები იყო ახლად დამკვიდრებული კოსმოპოლიტიზმის იდეა. სწორედ ამიტომ, სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ მთელი ერის ინტერესების გამომხატველები იყვნენ.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ერის შესახებ გავრცელებული ევროპული თეორიების შესწავლის საშუალებას გვაძლევს საქართველოში შექმნილი პირველი სოციოლოგიური გამოკვლევა *„ერი და კაცობრიობა“* (1910 წ.). ნაშრომის ერთ-ერთი თავი მთლიანად ეთმობა ერის თეორიებს. ამ თეორიების გაცნობით ზუსტი წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ რომელ მოაზროვნეებს ეყრდნობოდა და აკრიტიკებდა მიხაკო წერეთელი ერის ცნების და ეროვნული პრობლემის განსაზღვრისას. აღსანიშნავია ისიც, რომ მის მიერ დასახელებული თეორიების ნაწილს იცნობდნენ და იზიარებდნენ სხვა ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებიც.

მიხაკო წერეთელი ერნესტ ნისის ერის კონცეფციის შესახებ

ორი მოაზროვნე, რომლებსაც მიხაკო წერეთელი დასაწყისშივე ასახელებს სოლომონ რეინაკი და ერნესტ ნისი არიან. პირველი მათგანის შემთხვევაში, მიხაკო წერეთელი იმოწმებს მხოლოდ რეინაკის „რასის“ ცნებას, ხოლო მეორე ავტორს აკრიტიკებს და აბათილებს ერნესტ ნისის მოსაზრებებს საკუთარი შეხედულებების გამყარების საპირისპიროდ. ნათელია, რომ მიხაკო წერეთეზე ამ ორი მოაზროვნიდან ვერც ერთს ვერ მოუხდენია განსაკუთრებული გავლენა. ის იყენებს მხოლოდ სოლომონ რეინაკის (1858-1932) „რასის“ ცნების განმარტებას, რადგან მასაც სჭირდებოდა რასას და ერს შორის მკაფიო გამყოფი ხაზის გავლება. მიხაკო წერეთელი ეთანხმება

სოლომონ რეინაკის იმ აზრს, რომ რასა არ მიგვითითებს ისტორიულ ტრადიციებზე, არამედ მხოლოდ ლინგვისტურ ფაქტებზე. მიხაკო წერეთელის მოსაზრებითაც, ისტორიული ტრადიციები დამახასიათებელია მხოლოდ ერისათვის, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ გულისხმობს პიროვნებას, ანუ განვითარებულ სოციალურ ინდივიდს. მხოლოდ განვითარებულ სოციალურ ინდივიდს შეუძლია ჰქონდეს ისტორიული ტრადიცია (წერეთელი, 1990, გვ. 205). მეორე ავტორი კი, რომელსაც მიხაკო წერეთელი უფრო ვრცლად განიხილავს ერნესტ ნისია. ერის ცნების დაზუსტებისთვის მიხაკო წერეთელს მოჰყავს ერნესტ ნისის ერის განმარტება, რომლის აზრითაც, მხოლოდ საერთო მიზნის განხორციელება არის ერი. მიხაკო წერეთელი ეწინააღმდეგება ერის ცნების ამგვარ გაგებას. მას არასაკმარისად მიიჩნევს, რადგან ერი საერთო მიზნების რეალიზაციის შემთხვევაში ცოცხალი არსება გამოდის, მიზნის დასახვის ნიჭის მქონე, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება და რასაც საერთოდ ვერ ვხედავთ ერნესტ ნისის ნაშრომებში (წერეთელი, 1990, გვ. 205).

ერნესტ ნისი (1851-1920) ბელგიელი მეცნიერი იყო. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საჯარო საერთაშორისო სამართლის და სამართლის ისტორიის სფეროში. ერნესტ ნისი ცნობილია ვრცელი ჟურნალების გამოცემებით საერთაშორისო სამართლის და შედარებითი სამართლის მიმართულებით, რომლებშიც ხშირად ავტორი ყურადღებას ამახვილებდა შუა საუკუნეების და ადრეული მოდერნისტული დოქტრინების შინაარსებზე და მნიშვნლობაზე. 1885 წლიდან, ბელგიაში სამართლის მიმართულებით ადგილობრივ უნივერსიტეტში კითხულობდა კურსებს. 1898 წლიდან ერნესტ ნისმა დაიწყო ერების სამართლის შესახებ ახალი კურსის წაკითხვა. (Dhondt, 2015) ერნესტ ნისის შეხედულებით, თეორიული თვალსაზრისით ერები სამართლის ნაწილში გამოხატული ანომალიაა, რადგან საერთაშორისო სამართლის წინაშე აღიარებული ობიექტები მხოლოდ სახელმწიფოები არიან. სახელმწიფოების გარდა არც

ერთ ობიექტს არ აქვს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ამ უფლებების მინიჭებითვე ეკისრება მას (NYS, 1879, გვ. 4). ერნესტ ნისის განსაკუთრებული ინტერესის საგანია ეკლესია და სამღვდელოება. ის სასულიერო ფენაზე საუბრის დროს გამყოფ ხაზად ასახელებს ეკლესიის დაქვეითების პერიოდს, რასაც ლოგიკურია, რომ მოსდევს ერების და ნაციონალიზმის წარმოშობის და განვითარების ეპოქა. მისი აზრით, მთავარი ფაქტორი იყო რეფორმაციის ხანა, რომელმაც მთლიანად შეცვალა შუა საუკუნეების შრომის განაწილების სტრუქტურა. პროტესტანტულ ქვეყნებში ეკლესიის დომინაცია დასრულდა და ამით დასრულდა ცხოვრების დუალისტური გაგებაც, განსხვავება სულსა და სხეულს, ამქვეყნიურ და მარადიულ ცხოვრებას შორის. პოლიტიკაში ეს გამოიხატა ინდივიდუალური და ერის სუვერენიტეტის პრინციპების აღიარებით. თითოეული ერი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და ეს დამოუკიდებლობა ვრცელდებოდა ეკლესიისგან ერის დამოუკიდებლობაზეც. სამღვდელოების წარმომადგენლები აქტიურად ცდილობდნენ საკუთარი თავის დასახვას ერის ხელმძღვანელებად და მმართველებად. ამის საუკეთესო მაგალითია რომის ეკლესია. შუა საუკუნეებში რომის კათოლიკური ეკლესია თავს უმაღლეს ავტორიტეტად თვლიდა (NYS, 1879, გვ. 29-30). ამის საწინააღმდეგოდ, მოდერნისტული ერების კანონი პირიქით, ეყრდნობოდა არა რელიგიის ან ეკლესიის ავტორიტეტს, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ ავტორიტეტს, ანუ კაცობრიობას და სახელმწიფოს (NYS, 1879, გვ. 54).

პასკვილე სტანისლაო მანჩინის და იოჰან კასპარ ბლუნჩლის კონცეფციები ერის შესახებ

მიხაკო წერეთლის მიერ განხილული ერის თეორიების შესწავლისას ნათელი ხდება, რომ ის განიხილავს ისეთ ავტორებს, რომლებსაც გარკვეული გავლენა ჰქონდათ ერთმანეთზეც. ერნესტ ნისი ხშირად იმოწმებს იოჰან კასპარ ბლუნჩლის მოსაზრებებს საეკ-

ლესიო ფენაზე საუბრისას. კიდევ ერთი მაგალითია: პასკვილე სტანისლაო მანჩინი და იოჰან კასპარ ბლუნჩლი. ბლუნჩლის შესწავლისას ხშირად ვხვდებით მონაკვეთებს, სადაც ის პირდაპირ ციტირებს მანჩინის. სავარაუდოდ ერთ-ერთი ავტორის გაცნობამ მიიყვანა ქართველი ანარქისტი მეორე მოაზროვნის ერის თეორიამდე.

პირველი მოაზროვნე, რომელზეც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მიხაკო წერეთელი და რომელსაც ვრცელ ადგილს უთმობს ევროპული ერის თეორიების მიმოხილვაში იტალიელი პასკვილე სტანისლაო მანჩინია. მანჩინის სოციალურ არსად დასახელებული აქვს ორი ფენომენი: ოჯახი და ერი. სწორედ ამ ფორმებში ხედავს ის ადამიანების ბუნებრივი საზოგადოებრიობის გამოხატულებას. პასკვილე სტანისლაო მანჩინი ყველა სხვა ფიზიკურ, გარეგან ნიშან-თვისებებთან ერთად გამოყოფს ერის მთავარ მარკერს - სულს, ანუ ეროვნულ შეგნებას. საბოლოო ჯამში მანჩინის განმარტებით ერი არის: *„ადამიანთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელსაც ტერიტორიის, სისხლის, ზნე-ჩვეულებების, ენის ერთობა აქვს და რომლისთვისაც დამახასიათებელია საზოგადოებრივი შეგნება“.*

ერთი შეხედვით, სრულია ეს განმარტება, მაგრამ მიხაკო წერეთლის აზრით, აქ რამდენიმე შეცდომას ვაწყდებით: 1) ქართველი ავტორის მიხედვით, მთავარი შეცდომა იტალიელი მოაზროვნისა ის არის, რომ ის მხოლოდ ოჯახს და ერს მიიჩნევს საზოგადოებრივობის ფორმად. ოჯახის აღება საზოგადოებრიობის საწყის ფორმად მცდარია. ოჯახი უფრო პირველყოფილი კომუნაა; 2) მიხაკო წერეთლის აზრით, მანჩინის მეორე შეცდომა ის არის, რომ მას განსაზღვრული არ აქვს თავად საზოგადოების არსება, როგორც სოციალური ფაქტის და არც საზოგადოება, როგორც ერთიანი და მთლიანი რამ. ამის გარეშე, რა თქმა უნდა, ძნელია კონკრეტულ საზოგადოებაზე მსჯელობა. ერის თეორიას სოციოლოგიური ანალიზი უნდა უძღვოდეს წინ. ამის მიუხედავად, მიხაკო წერეთელი მანჩინის მთავარ

დამსახურებად თვლის ერის გამოცხადებას საერთაშორისო სამართლის ერთადერთ საგნად. მიხაკო წერეთელის შეხედულებით, პასკვილე სტანისლაო მანჩინის ერის ანალიზი იმ დროისთვის ერის თეორიის შემუშავების საუკეთესო ცდა იყო. (წერეთელი, 1990, გვ. 206-207)

პასკვილე სტანისლაო მანჩინი (1817-1888) იყო ადვოკატი და პოლიტიკოსი. მის მოსაზრებებს მეტად მისი საჯარო გამოსვლებიდან და ხელნაწერებიდან ვეცნობით. 1851 წლიდან ის ქმნის ცნობილ სალექციო კურსს *„ეროვნება, როგორც საერთაშორისო სამართლის საფუძველი“*. მისი საჯარო გამოსვლა ამ საკითხზე, რომელიც მან იგივე სათაურით წაიკითხა აკადემიური წრის წინაშე, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გამოსვლის შინაარსი ფართო მასებზე იყო გათვლილი და არა მხოლოდ ტურინის მსმენელზე. ამ გამოსვლამ დიდი კრიტიკა დაიმსახურა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელებშიც მოსახლეობა მრავალეთნიკური იყო. (Bartolini, 2020, გვ. 83-84)

მანჩინის განმარტების მიხედვით, ერი არის ხალხის ერთობა, რომლებიც საერთო მახასიათებლებით გამოირჩევიან, რასაც მანჩინი ეროვნების დამფუძნებელ ფაქტორებს უწოდებს, როგორებიცაა: ენა, ტერიტორია, რასა, ისტორია, კანონები და რელიგია. თუმცა მხოლოდ ამ მახასიათებლებით ვერ წარმოიქმნება ერი. კიდევ ერთი დამატებითი ელემენტია საჭირო: საერთო ფსიქოლოგიური და სუბიექტური ბუნება. უფრო მნიშვნელოვანი კი ეროვნული ცნობიერებაა, ანუ იმის რწმენა, რომ ერს საკუთარი არსებობა გააჩნია. მანჩინისათვის ერის ცნება ეფუძნება მატერიალური ელემენტების მთლიან სერიას, რომლებსაც ობიექტური ნიშან-თვისებების ხასიათი აქვს და რომლებიც დროისა და სივრცის განსხვავების მიუხედავად საერთოა მრავალი ერისათვის, რომლებიც არსებობდნენ. საბოლოოდ, პასკვილე სტანისლაო მანჩინისათვის ეროვნება არის ბუნებრივი საზოგადოება, რომელიც იმ ადამიანებისაგანაა შემდგარი,

ვისაც აქვთ საერთო ტერიტორია, ადათ-წესები, ენა და ეროვნული ცნობიერება. პასკვილე სტანისლაო მანჩინის თანახმად, ეროვნულობის უბრალო არსებობაც კი, ყოველგვარი ფორმალური შეთანხმების გარეშე, უნდა იწვევდეს ამ ჯგუფის დამოუკიდებლობას და ავტონომიას სხვებისგან. ტერიტორიით, ენით, ადათ-წესებით და სხვა მატერიალური ნიშნებით გაერთიანებულ საზოგადოებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნული ცნობიერება აქვს უფლება დამოუკიდებელი არსებობისა. ყველა სახელმწიფო კი ერთი ერისგან უნდა შედგებოდეს. ერები უნდა იყვნენ თავისუფლები და თანასწორები. მანჩინი გამოდის ერის შიდა საქმეებში უცხო ქვეყნისა თუ ერის ჩარევის წინააღმდეგ. ერთი ერის მიერ მეორე ერის დამოუკიდებლობის ხელყოფა მისთვის დიდი დანაშაულია, რადგან ნაციონალიზმის ამოსავალი წერტილი თავისუფლებაა (Bartolini, 2020, გვ. 86-87).

მანჩინი უფრო რადიკალურ მსჯელობასაც არ ერიდება და ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო სამართლის ობიექტები უნდა იყვნენ ერები და არა სახელმწიფოები. მის თეორიაში მთავარი თეზისი არის ის, რომ სახელმწიფო ხელოვნური და შემთხვევითი საგანია, როცა ერი არის ბუნებრივი და ძირითადი ობიექტი საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგისა. ამ მოსაზრებას მისი დიდი კრიტიკა მოჰყვა. მას ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ყურადღების მიღმა ტოვებდა იმ ასპექტს, რასაც სახელმწიფოდ ქმნადობა ჰქვია. ერისთვის სახელმწიფოდ გახდომაა საჭირო, რათა მან მოიპოვოს კანონიერი ღირებულები და სამართლებრივი უფლებები. ერი ვერ იქნება სამართლებრივად რელევანტური, სანამ არ ორგანიზდება სუვერენულ სახელმწიფოდ. (Bartolini, 2020, გვ. 87-88)

ერთი სირთულე, რომელიც ახასიათებს პასკვილე სტანისლაო მანჩინის თეორიას არის მისი დაუსრულებლობა, რაშიც ვგულისხმობთ მის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ერი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის ობიექტი, მაგრამ არ აკონკრეტებს და არ წარ-

მოგვიდგენს სურათს, თუ პრაქტიკულად როგორ ესახება მას ეს პროცესი. ის მხოლოდ ფუნდამენტური ვარაუდის წინააღმდეგ მიდის და გვთავაზობს, რომ საერთაშორისო სამართლის ობიექტი შეიცვალოს და სახელმწიფოს ნაცვლად გახდეს ერი. ამის მიუხედავად, მრავალი ავტორი განიხილავდა ერის ცნებას მანჩინამდე და მანჩინის შემდეგაც, მაგრამ სწორედ მან მოახერხა ის, რომ მის შემოქმედებაზე დაყრდნობით ერზე მონოპოლია აღარ ეკუთვნოდათ ისტორიკოსებს, ინტელექტუალებს, ფილოსოფოსებს. არამედ, ერი მან იურიდიული და სამართლებრივი ანალიზის საგნად აქცია. 1851 წლის ლექციაშივე პასკვილე სტანისლაო მანჩინიმ ერი დასახა საერთაშორისო სამართლის მთავარ მომქმედ ობიექტად. მისი მიზანი იყო ერის ფასეულობების მთელი რიგის იდენტიფიცირება და დაცვა, რომლებიც განიხილებოდა ზნეობისა და უნივერსალური სამართლის შესაბამისად. ამას შეეძლო დიდი როლი ეთამაშა ერისათვის არსებითი უფლებების მინიჭებაში, რომლებსაც ვერც სახელმწიფო და ვერც ხელშეკრულება გააუქმებდა. ამ გზით ევროპაში შეიძლებოდა ომები და რეპრესიები შეცვლილიყო არბიტრაჟით. (Bartolini, 2020, გვ. 89) დასკვნის სახით ავღნიშნოთ, რომ მანჩინის თეორია ეროვნული პრინციპის შესახებ ხასიათდება ისტორიული და იდეალისტური მიდგომით. მანჩინი თავის თეორიით გამოხატავს თავისუფლების საჭიროებას. ამ თეორიისადმი კრიტიკა იტალიის გარეთ უფრო დიდი იყო. იტალიის საბოლოოდ გაერთიანების დროს, 1861 წელს, იტალიის საზღვრებში მანჩინის თეორიას იშვიათად აკრიტიკებდნენ.

მეორე მოაზროვნე, რომელზეც მიხაკო წერეთელი ყურადღებას ამახვილებს იოჰან კასპარ ბლუნჩლია (1808-1881). ბლუნჩლი საუბრობს იმ ძალებზე, რომლებმაც მოახერხეს ერის შექმნა. ამ ძალებს შორის ის ასახელებს რჯულს, ენას, ტერიტორიას, ზნე-ჩვეულებებს და პოლიტიკას. ბლუნჩლი ტერმინ „ხალხს“ ანიჭებს უპირატესობას, რომელშიც ის გულისხმობს საერთო სულის და შეგნების მქონე ად-

ამინათა ჯგუფს, რომელსაც სურვილი აქვს მომავალში ერთად თანაარსებობის, მხოლოდ სახელმწიფოსთან შეკავშირებული და მოწესრიგებული ხალხია ერი. როგორც მიხაკო წერეთლის მსჯელობიდან ვიგებთ, ის ეყრდნობა და იაზრებს ბლუნჩლის ერთ-ერთი ცნობილი ნაშრომს *„ზოგადი თეორია სახელმწიფოს შესახებ“.*

მიხაკო წერეთლის აზრით, ბლუნჩლის შეცდომა არის ის, რომ ის არ აზუსტებს იმას თუ რა არის კონკრეტულად ხალხის გამაერთიანებელი სული, ანუ რა არის ის არსი, რაც ზოგადად საზოგადოებას აყალიბებს და რა მიმართებაში არიან მასთან კონკრეტული ერები. მიხაკო წერეთელი არ ეთანხმება იმ აზრსაც, რომ მხოლოდ პოლიტიკური ორგანო ქმნის ხალხს ერად, რადგან რა უნდა ეწოდოს ამ დაშვების შემთხვევაში იმ ხალხს, რომელსაც წართმეული აქვთ სახელმწიფოებრიობა?. (წერეთელი, 1990, გვ. 207) ამავე დროს მიხაკო წერეთელი აღნიშნავს, რომ ერის და სახელმწიფოს ცნებას ბლუნჩლი ნაშრომში კარგად ასხვავებს ერთმანეთისგან: *„თვითოეული ერის მისია არის ცალკე სახელმწიფოს დაარსება, და მას უფლებაც აქვს ამისა. ქვეყანა უნდა განიყოს იმდენ სახელმწიფოდ, რამდენ ერადაც კაცობრიობა განიყოფება. დაე, თვითოეული ერი გახდეს სახელმწიფოდ, თვითოეული სახელმწიფო ეროვნულ ორგანიზმად“.* მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის სხვა ნაწილში ერთპიროვნულად საუბარია სახელმწიფოს უპირატესობაზე ერთან შედარებით, რადგან სახელმწიფოს გარეშე ერი ერად ვერ ჩამოყალიბდება, მაინც მის ამ განმარტებით ერი სახელმწიფოს სოციალურ ორგანიზმადაა წარმოჩენილი, ანუ ერი ის არსია, რაც ჰქმნის სახელმწიფოს. ამ ნაწილში აშკარაა ბლუნჩლზე მანჩინის გავლენა, რასაც ხაზს უსვამს მიხაკო წერეთელი. (წერეთელი, 1990, გვ. 209)

ბლუნჩლის მოსაზრებით, რასებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. რასების მრავალფეროვნება ბუნებრივია, რაც ბუნების შემოქმედებითი ენერგიით უფროა გამოწვეული, ვიდრე კაცობრიობის ისტორიით. მეორე მხრივ, ერები, რომლებიც

იყოფა რასებად ან რასების შერწყმით წარმოიშობა კაცობრიობის ისტორიის შედეგია. სწორედ ისტორიამ, განცალკევების და შერწყმის პროცესებით, ასევე ცვლილებებისა და განვითარების პროცესებით, დროთა განმავლობაში გაანადგურა ერების ნაწილი, მეორე ახალი ნაწილი კი წარმოშვა (Bluntschli, 2000, გვ. 77).

იოჰან კასპარ ბლუნჩლის თეორიის მიხედვით, ხალხი და ერი ისტორიის პროდუქტია. ხალხი ნელი ფსიქოლოგიური პროცესის განმავლობაში წარმოიქმნება, რომლის დროსაც ადამიანების მასა აღიარებს ერთი ცხოვრების წესს და საზოგადოებას. ხალხის შექმნისთვის რამდენიმე თაობის გამოცდილება, სიმდიდრე და თანამშრომლობაა საჭირო. მისი მუდმივობა არასდროს იქნება უზრუნველყოფილი იქამდე, სანამ ოჯახები წარმატებულად არ გადასცემენ მემკვიდრეობით თაობიდან თაობას დაგროვილ კულტურულ მახასიათებლებს. ერის ფენომენის აღორძინება კი გულისხმობს პოლიტიკურ პროცესს - სახელმწიფოს შექმნას. ეროვნების შეგრძნება აწმყოში უფრო ძლიერი და ეფექტურია, რადგან მნიშვნელოვანია ენის გავლენა, უფრო ზუსტად, გაიზარდა ლიტერატურის და პერიოდული პრესის როლი. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალურმა მოძრაობებმა მთავარი იმპულსი მიიღეს ეროვნული ლიტერატურიდან. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის გონებას და ძალისხმევას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ჩამოყალიბებაში მაინც, ეს პროცესი უმეტესად არაცნობიერად წარიმართება.

ამგვარად, ავტორის ხალხის კონცეფცია ასე განისაზღვრება: უამრავი სხვადასხვა საქმიანობისა და სოციალური ფენის ადამიანის გაერთიანება ტრადიციულ საზოგადოებად საერთო სულის, გრძნობის და რასის საფუძველზე. განსაკუთრებით დიდია ენისა და ადათ-წესების როლი, რომლებიც საზოგადოებას ერთიანობის განცდას უმყარებას და განასხვავებს მათ „სხვა“ საზოგადოებებისგან, „უცხოელებისგან“. ხალხის ტერიტორიული საზღვრები, სადაც ბინადრობს, მოქნილია და იცვლება დროის და პირობების მიხედვით.

შეიძლება მან მოახდინოს სხვა ერების ასიმილაცია და გაიზარდოს თავად. ან პირიქით, დიდმა უცხო ცივილიზაციამ დაშალოს და გააქროს ის. ამ გზით მაღალი ცივილიზაციის მქონე ხალხი თანდათან ანადგურებს მცირე ტომების ცივილიზაციებს და მათ საკუთარი ცივილიზაციით ცვლის. ერი კი იქმნება სახელმწიფოს შექმნით. მეტნაკლებად განვითარებული პოლიტიკური კავშირი და ერთიანობა ერს ხალხზე მაღლა აყენებს. ერი, რომელიც ტოვებს საკუთარ ქვეყანას შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ აგრძელებს ერად ყოფნას, მაგრამ მხოლოდ დროებით, სანამ ის არ დაუბრუნდება თავის სახელმწიფოს, ან არ შექმნის ახალ სახელმწიფოს. ერის იდეას ყოველთვის თან ახლავს აუცილებელი კავშირი სახელმწიფოსთან, რაც შეგვიძლია ასეც გამოვთქვათ - *„არა სახელმწიფო, არა ერი“*. (Bluntschli, 2000, გვ. 80-82)

იოჰან კასპარ ბლუნჩლის აზრით, თუ მთლიანი ერი ან მისი უმეტესი ნაწილი ერთ ხალხს მიეკუთვნება, მაშინ იქ ბუნებრივად ვრცელდება და ყალიბდება საერთო სული, ხასიათი, ენა. მეორე მხრივ, თუ ერი სხვადასხვა ხალხისგან შედგება, მათ ნაკლები ინტერესების, გრძნობების და ინსტიტუტების ერთობა აქვთ. ერი არის სამართლებრივი და პოლიტიკური კოლექტიური პიროვნება. ეროვნული სული და ეროვნული ნება მისი ორგანოებით და არსით არ არის ინდივიდუალური, იზოლირებული და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი. ესაა საერთო სული და საზოგადოებრივი ნებისყოფის ერთიანობა. ერის განვითარების ისტორიის შესწავლა შეგვიძლია ინდივიდუალური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მსგავსი განვითარების საფეხურებით. ერის იდეები და საჭიროებები საწყის ეტაპზე ისეთივე არ არის, როგორც დროის გასვლის შემდეგ. არსებობის შუა პერიოდი და მათი ძალების, სულის მაღალი განვითარების ხანა. ინდივიდის ცხოვრებაში განვითარების პერიოდები ათწლეულებში იზომება, როცა ერისათვის ეს საუკუნეებში

ხდება. მაგრამ, ერები, ადამიანების მსგავსად, მოკვდავები არიან (Bluntschli, 2000, გვ. 83).

ბლუნჩლის მიხედვით, ის ფაქტიც კი რომ ერის უფლებების მოთხოვნაზე ვსაუბრობთ ცივილიზაციის წინსვლაა. ენა ხალხის ყველაზე ექსკლუზიური და ღირებული მონაპოვარია. სახელმწიფო ვერ უარყოფს ერის ენას და არც აკრძალავს ამ ენაზე შექმნილ ლიტერატურას. პირიქით, სახელმწიფომ თავისუფლება უნდა მიანიჭოს ენას და ხელიც შეუწყოს მის გამოყენებას. რამდენადაც ამ თავისუფალი მიდგომით არ დაზიანდება ცივილიზაციის ზოგადი ინტერესები. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ერთი ენა უკეთეს მდგომარეობაში იყოს სახელმწიფოში და სახელმწიფოს საქმიანობის დროსაც ამ ენას იყენებდნენ. სწორედ, ასეთი ენა ისწავლება სკოლებში. ხალხს საკუთარი ადათ-წესების დაცვის უფლება აქვს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ზოგად საკაცობრიო მაღალ ზნეობრივ კანონებს და არ მოდიან წინააღმდეგობაში ან არ შეურაცხყოფენ სახელმწიფოს უფლებებს. კანონის შემუშავების პროცესში ერს უფრო მეტი უფლებები და პრეტენზიები აქვს, ვიდრე ხალხს (Bluntschli, 2000, გვ. 85-86).

ბლუნჩლი ხაზს უსვამს იმას, რომ მსოფლიო ისტორიის ნებისმიერ დროს ერს, ეროვნებას ჰქონდა დიდი გავლენა სახელმწიფოსა და პოლიტიკაზე. ცხადია, ეროვნებას უფრო მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოსთან ვიდრე ეკლესიასთან. სახელმწიფო ორგანიზებული ერია და ერები იღებენ თავიანთ ხასიათს იმ ხალხისგან, რომლებიც სახელმწიფოში ცხოვრობენ. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ბუნებრივი კავშირი და მუდმივი ურთიერთქმედებაა ხალხსა და ერს შორის. ხალხი არ არის პოლიტიკური საზოგადოება. მაგრამ თუ ის რეალურად გაანალიზებს საკუთარი გაერთიანების სულს ბუნებრივია, რომ ის მოისურვებს სრულად ჩამოყალიბებას, პერსონიფიცირებას საერთო ნების საფუძველზე საერთო მოქმედების გამოსახატად. ფაქტობრივად, ეს მიზანია გახდეს სახელმწიფო. სწორედ ესაა ეროვნულობის საფუძველი, როგორც პოლიტიკის პრაქტიკული

პრინციპი. ამ პრინციპით საკმარისი არაა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო იცავს ეროვნულ ენას, ადათ-წესებს და კულტურს. ეს პრინციპი მოითხოვს იმას, რომ თავად სახელმწიფო გახდეს ეროვნული. ყველა ხალხს აქვს უფლება შექმნას სახელმწიფო. რამდენადაც კაცობრიობა მრავალ ხალხადაა დაყოფილი, სამყარო იგივე რაოდენობის სახელმწიფოებად უნდა დაიყოს. ერთი სახელმწიფო ყველა ხალხისთვის. (Bluntschli, 2000, გვ. 90)

ბლუნჩლის საკუთარი მოსაზრებების განსამტკიცებლად მოჰყავს ისტორიული მაგალითებიც. თუ მოქალაქეებს აქვთ თავიანთი პოლიტიკური ერთიანობის ძლიერი განცდა, მაშინ სახელმწიფო ცდილობს მათგან შექმნას სხვებისგან განსხვავებული ერი. ამის მაგალითია ანტიკური სამყარო, სადაც ათენელები და სპარტანელები გახდნენ გამორჩეული ერები თავიანთი პოლიტიკური განათლებისა და იზოლაციის წყალობით. მაგრამ ყველა დროის საუკეთესო მაგალითი პოლიტიკური სულისკვეთებით ახალი ხალხის ჩამოყალიბებისა იყო ჩრდილოეთ ამერიკის გამოყოფა ინგლისისაგან. მეორე მხრივ, თუ ეროვნული იმპულსები და მისწრაფებები თავს შეზღუდულად გრძნობენ, რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ გასცდნენ მის საზღვრებს და ეცდებიან გაერთიანდნენ იმავე ეროვნების მქონე სხვა სახელმწიფოებში გაფანტულ ხალხთან, რათა შექმნან უფრო დიდი და ეროვნული სახელმწიფო (Bluntschli, 2000, გვ. 91).

იოჰან კასპარ ბლუნჩლის მოსაზრებით, თუ ერთ ქვეყანაში სხვადასხვა ხალხი მასიურად ერთმანეთის გვერდით იცხოვრებს შემდეგი ტენდენციები წარმოჩნდება: სახელმწიფო დაემყარება ერთი ხალხის ცივილიზაციას და ეცდება სხვა ხალხის ამ ცივილიზაციასთან ასიმილირებას და მთელი ერის ერთ ხალხად გარდაქმნას. ეს მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, როცა დომინანტი ერი უმჯობესია დანარჩენებზე განათლებით, აზროვნებით და ძალაუფლებით. ამის მიუხედავად, ერთ სივრცეში მცხოვრები სხვადახვა ხალ-

ხი ყოველთვის მიდრეკილია პოლიტიკური დაშორებისაკენ, გამოყოფისკენ (Bluntschli, 2000, გვ. 91). მეორე მხრივ, შესაძლებელია სახელმწიფოში სხვადასხვა ხალხის თანაცხოვრება ისე, რომ ერთი ეროვნების სასარგებლოდ არ მოხდეს მათი ასიმილაცია. ამ შემთხვევაში სახელმწიფო უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი და უარი თქვას პრეტენზიაზე, რომ იყოს ეროვნული. სახელმწიფოს პოლიტიკა კი ზოგადი მოსაზრებებით და მოტივებით წარიმართება და არა ეროვნულით. ასეთი ქვეყნის მაგალითია შვეიცარია.

საბოლოოდ, ავტორი ასკვნის, რომ ყველა ხალხს არ შეუძლია სახელმწიფოს შექმნა და შენარჩუნება. მხოლოდ პოლიტიკური შესაძლებლობების მქონე ხალხს აქვს უფლება დამოუკიდებელი ერის შექმნის. სუსტი ნაწილი უნდა შეუერთდეს სხვებს ან უნდა იყოს ძლიერი ძალების დაცვის ქვეშ. ხალხს, რომელსაც აქვს თვითცნობიერება, პოლიტიკური ნიჭი და მიდრეკილება გრძნობს ბუნებრივ აუცილებლობას, რომ სახელმწიფოს ნაწილად იქცეს. თუ ამ ხალხს ასეთი იმპულსის დაკმაყოფილების ძალა აქვს, მას ბუნებრივი უფლებაც აქვს სახელმწიფოს შექმნის. თუ სახელმწიფო შედგება სხვადასხვა ეროვნების ხალხისგან, რომლებმაც მოახერხეს ერთ ერად ფორმირება, მაშინ პოლიტიკური უფლებები ვერ განაწილდება ეროვნებების სიძლიერის და სიდიდის მიხედვით. ბლუნჩლის მთავარი შეკითხვაა: რამდენი ერია ღირსი იმის, რომ შექმნას სახელმწიფო?!. რომელსაც თავადვე პასუხობს - ამის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს და არავის სხვას, რაც გვანახა უკვე კაცობრიობის ისტორიამ. (Bluntschli, 2000, გვ. 95)

იმის მიუხედავად, რომ მიხაკო წერეთელი ორივე მოაზროვნეს აკრიტიკებს, მაინც ორივე ავტორის მიერ შემუშავებული ერის კონცეფცია იმ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რომელსაც ნაწილობრივ თავად იზიარებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პასკვილე სტანისლაო მანჩინის ერის თეორია, რომელსაც მიხაკო წერეთელი პირდაპირ უწოდებს იმ პერიოდში ერის თეორიის შემუშავების საუკეთე-

სო მცდელობას. ძნელი სათქმელია ამ ორ ავტორს რამდენად ჰქონდათ გავლენა ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველ სხვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებზე, რადგან ისინი ძირითად ყურადღებას ავსტრომარქსისტებზე და ერნესტ რენანზე ამახვილებდნენ, მაგრამ მიხაკო წერეთელზე ამ კონცეფციებმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე თუნდაც ერნესტ რენანის ერის თეორიამ.

მიხაკო წერეთლის მიერ განხილული სოციოლოგების კონცეფციები ერის შესახებ

მიხაკო წერეთელი განიხილავს ერის შესახებ სოციოლოგების მოსაზრებებსაც. ყურადებას ამახვილებს რენე ვორმსზე და გაბრიელ ტარდიზე. რენე ვორმსი ერთმანეთისგან განასხვავებს ერის, სახელმწიფოს, ხალხის და საზოგადოების ცნებებს. ერი მისთვის ერთიანი სოციალური არსებაა, ხალხი კი მისი შემადგენელი ელემენტი. სახელმწიფო ერის ფუნქციონალური მხარეა. რადგან ვორმსის თეორია მეტად საზოგადოებას შეეხება, ვიდრე ერს, ამიტომ მიხაკო წერეთლისთვის უფრო საინტერესოა ტარდის თეორიის მიმოხილვა.

რენე ვორმსი (1869-1926) ფილოსოფოსია, რომელიც 1890 წლის დასაწყისიდან მუშაობდა სოციოლოგიის სფეროში. მის განსაკუთრებულ მონაპოვრად უნდა ჩავთვალოთ აკადემიურ სივრცეში პირველი ფრანგული აკადემიური ჟურნალის შექმნა, რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა სოციოლოგიას. რენე ვორმსი ორგანიციზმის თეორიის წარმომადგენელია. (Mosbah-Natanson, 2014) XIX საუკუნის მიწურულს რამდენიმე სოციოლოგმა და მათ შორის რენე ვორმსაც ხაზი გაუსვა, რომ რასობრივი თვისებები არანაირ როლს არ თამაშობენ სოციალური ცხოვრების ფორმირებაში. რენე ვორმსი აღნიშნავდა, რომ საზოგადოება უაღრესად ერთგვაროვანი და ჰომოგენური ფენომენია, რადგან მის წევრებს ახასიათებთ მსგავსი გონებრივი განწყობა, მიუხედავად თითოეული მათი განსხვავებული

ფუნქციებისა და ამ ფუნქციების სხვადასხვანაირად შესრულებისა. ეს ჰომოგენურობა ვორმსის მიხედვით არის ორგანული ერთიანობის შედეგი და არა მემკვიდრეობითი თვისებები. საზოგადოება იმ მსგავსებით ხასიათდება, რომელიც დამოუკიდებელია მემკვიდრეობით გადაცემისგან. რენე ვორმსის დასკვნა ასეთია: შეიძლება არსებობდეს სოციალური ერთობა იქ, სადაც არ არის რასობრივი ერთობა. (TERRIER, 2011, გვ. 27)

რენე ვორმსის მოსაზრებით, აკადემიურ სივრცეში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს სწორედ სოციოლოგია, რადგან არაფრის გამოკვლევა არ შეიძლება ისე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინდივიდების ცხოვრებას განსაკუთრებით ერთმანეთთან ურთიერთობის ჭრილში. სახელმწიფო არის მთლიანი ორგანიზმი, რომელიც ერთდროულად არის, როგორც ინდივიდების, ასევე, კოლექტივების ერთიანობა. (Worms, 1895, გვ. 149)

უფრო დიდ ყურადღებას მიხაკო წერეთელი ამახვილებს გაბრიელ ტარდიზე. მისთვის ერი და სხვა სოციალური ჯგუფებიც არიან კონკრეტული სოციალური ორგანიზმები, მაგრამ საზოგადოება უფრო ცოცხალი ორგანოა, მაგ. როგორც ჩვეულებრივი ორგანიზმისთვის ტვინი. განსაკუთრებით თანამედროვე საზოგადოებას ამსგავსებს ის ტვინს, რადგან გონებრივ ძალებზეა ყველა მოქმედება ამ საზოგადოებაში დაფუძნებული. საზოგადოების არსება ხასიათდება „წამბაძველობით“. საზოგადოება ამით გაირჩევა ერისაგან. ერი საზოგადოების კონკრეტული განხორციელების პრინციპია. საზოგადოებრივობას და ამით სიცოცხლეს სურს გავრცელება და ამ მიზნის მისაღწევად იყენებს ის ორგანიზაციის საშუალებას. ეს ორგანიზაციაა კონკრეტული საზოგადოება. ერი კი არის ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, მისწრაფებების, იდეების შეთანხმება, რომელიც საზოგადოებაში „წამბაძველობით“ ვრცელდება, მაგრამ იერარქიულად ემორჩილებიან ერთმანეთს და ახასიათებთ „ძმური“ სოლიდარობა ერთმანეთისადმი. ამიტომ უნდა მკაფიოდ გაიმიჯნოს ერი

საზოგადოებისაგან. ტარდისათვის ყველა სოციალური ჯგუფი ბაძავს ერთმანეთს ან ამ „წაბაძვის“ გარეშეა ერთმანეთის მსგავსი, რადგან ისინი თავის მხრივ ბაძავენ ძველ საერთო მოდელს. სწორედ ეს მსგავსება ბადებს სპეციალურ სოციალურ ორგანიზმს. ეროვნული ჯგუფი, პოლიტიკურისგან განსხვავებით, ძნელად განისაზღვრება და გამოირკვევა, მაგრამ არის კომბინაცია ენის, სამართლის, ზნე-ჩვეულებების, რომელიც დაფუძნებულია ერთ ტერიტორიულ ადგილზე. (წერეთელი, 1990, გვ. 213)

ერი ტარდისათვის კონკრეტული სოციალური ორგანიზმია, რომელიც მთელი ორგანიზმის მსგავსი არაა, მაგრამ ტვინის ფუნქციას მაინც ითავსებს. ერი უფრო ერთ-ერთი სოციალური ორგანიზაციაა, რომლის საშუალებითაც საზოგადოებრიობა ვრცელდება. ტარდს ფაქტობრივად შესაძლებლად მიაჩნია ერის მოსპობა საზოგადოებრიობის ზოგადი პრინციპის, წამბაძველობის, დაუსრულებლად გავრცელებით მსოფლიოში, ანუ საზოგადოებები ერთმანეთს ემსგავსებიან და საერთაშორისო ელფერი ედებათ. რაც უფრო მაღალ საფეხურზე არიან საზოგადოებები მით უფრო საერთაშორისო ხასიათი აქვთ მათ. მიხაკო წერეთელი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და მის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, რომ საზოგადოება, რაც უფრო განვითარებულია მით მეტად ავითარებს საკუთარ ინდივიდუალურობას. შეიძლება მან სხვა საზოგადოების მიბაძვით ბევრი თვისება შეიძინოს განვითარების პროცესში, მაგრამ ინდივიდუალურობა ამით უფრო განავითაროს, რომლის კონკრეტული გამოხატულებაც იქნება: ენის, სარწმუნოების, სამართლის, ლიტერატურის, ხელოვნების და სხვა დარგების განვითარება. პრაქტიკაში ამის შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს მიხაკო წერეთელს და ამბობს, რომ თუ წიგნის თარგმნა, რომელიც პოპულარული საქმიანობა იყო მის თანამედროვეობაში, წამბაძველობის გამოხატულებაა, მეორე მხრივ, ეს თარგმნა ეროვნულ ენაზე ხდება და მდიდრდება ერის ინდივიდუალური კულტურა. (წერეთელი, 1990, გვ. 215) ტარდი საუბრობს იმაზეც,

რომ წამბაძველობის გავრცელება ხელს უშლის სხვისი ზნე-ჩვეულებების და კულტურის უარყოფას, როცა ხდება საზოგადოებების მიერ ერთმანეთის გაცნობა. ამ გაცნობის მერეც ხდება დაბრუნება ეროვნულ თავისებურებებთან. ეს წამბაძველობა შეიძლება განსაზღვრულ წერტილამდე მივიდეს, მაგრამ მთელ კაცობრიობას იდენტურად ვერ აქცევს, რადგან არსებობს შინაგანი სხვადასხვაობა საზოგადოებების ბუნებაში, რომელიც მუდმივია. ტარდის აზრით, მრავალფეროვნება შინაგანი კანონია ბუნების და საზოგადოების ცხოვრების. ამიტომ, ერთი სოციალური ორგანიზმის შექმნა არარეალურია. უნივერსალური იმპერიები ქმნიან ნაძალადევად თავსმოხვეულ ერთფეროვნებას, რომელთა დაშლის შემდეგ დიდი მრავალფროვნება იბადება.

გაბრიელ დე ტარდი (1843-1904) ყველაზე პოპულარული ავტორია მათგან, ვისაც მიხაკო წერეთელი ასახელებს. ის ცნობილია სწორედ მიბაძვის თეორიით სოციოლოგიაში. ტარდი აღიარებულია იმითაც, რომ სოციოლოგიის მეტაფიზიკურ წარმომადგენლად გვევლინება. ემილ დიურკემის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეალობა ინდივიდებისგან დამოუკიდებელია იმდენად დომინანტური იყო, რომ ტარდის დამცველი ფრანგი სოციოლოგების რიცხვი არ იყო ბევრი და თან ისინი თავს მეტად მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის წარმომადგენლებს უწოდებდნენ. ემილ დიურკემი სოციოლოგიაში მთლიანად ანტიფსიქოლოგიის პოზიციის დამცველი იყო. ტარდის ნააზრევი ამის საწინააღმდეგოდ სოციოლოგიაში ფსიქოლოგიზმის მიმართულების უფროა. (Jones&Roffe, 2009, გვ. 209)

ტარდის მოსაზრებით, ყველა საზოგადოებრივი მოვლენა დაიყვანება ორ საკმაოდ მარტივ ძალამდე: სურვილსა და რწმენაზე. ასეთი არატრადიციული მიდგომით სოციალური ფაქტები გაზომვადი ხდება. ამ ორ ძალას ემატება მიმბაძველობა, რომელიც ტარდის მსოფლმხედველობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. სოციალური ურთიერთობა მინიმუმ ორი პირის ურთიერთმიმართებაა,

რომელთაგან ერთია ის ვინც მეორეზე ახდენს გავლენას, ხოლო მეორეა ის, ვისზეც ახდენენ გავლენას. გამოდის, რომ სოციალური ფაქტის მუდმივ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ავიღოთ მიბაძვა. სოციალური ფაქტის წარმოდგენა მისი ინდივიდუალური გამოვლინების გარეშე შეუძლებლად მიაჩნია ტარდს. საზოგადოება ვერ შედგება ინდივიდების გარეშე, მათი უკუგდებით საზოგადოებაზე მსჯელობა მხოლოდ ზოგადი ხასიათის იქნება. ტარდის მთავარი მიზანია სოციალურის მთლიანად ფსიქიკურზე დაყვანა. ამიტომ, ინდივიდის მნიშვნელობა განსაკუთრებულია მის მსოფლმხედველობაში. სოციალურ ცხოვრებაშიც ყველაფერი ინდივიდუალობის ასახვაა, ყველაფერი მისგან გამომდინარეობს. (გაბრიელ ტარდი – მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია , გვ. 6-8)

ტარდის შეხედულებით, საზოგადოება ადამიანთა ის ჯგუფია, რომელიც ერთნაირად აღიზარდნენ, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან საკუთარი იდეებითა და გრძნობებით. ამის მიუხედავად, ამ ჯგუფის ადამიანებს აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა და შესაბამისად, გავლენასაც ახდენენ ერთმანეთზე. მისი მოსაზრებით, სოციალური ჯგუფიც, საზოგადოებაც და ერიც ყველა მიბაძვის საფუძველზე ვითარდება. იყენებს ტარდი ჰიპნოზის და უფრო ზუსტად სომნამბულიზმის ტერმინებს ასაბუთებს, რომ ერთი პიროვნების ზეგავლენა მეორეზე ის პროცესია, რაც ამ ტერმინებით გამოიხატება, რადგან ყველა იდეა და მოსაზრება ადამიანს მიღებული აქვს შთაგონებით, მაგრამ მათ აქვთ წარმოდგენა, რომ ამას საკუთარი ნებით აკეთებენ. მიბაძვის ფაქტი ოჯახის ინსტიტუტიდან იწყება. მომხიბვლელად მოქმედი ადამიანი მიბაძვის იმპულსის წყაროა (გაბრიელ ტარდი – მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია , გვ. 11-12).

ისტორიის ახსნა კი მისთვის, რა თქმა უნდა, სხვა არც ერთი ფენომენით არაა შესაძლებელი, გარდა ბაძვის ფაქტისა. ის ეწინა-

აღმდეგება პოლიტიკურ ისტორიოგრაფიას, რომლისათვისაც მთავარია პოლიტიკური მოღვაწეობისა და ძალაუფლების დომინანტური პოზიციის აღიარება ისტორიულ პროცესებში. ის თვლის, რომ ისტორიაში ყველა ქმედებას, გამოგონებას და აღმოჩენასაც კი საფუძვლად უდევს მიბაძვა. მიბაძვა ერთადერთი ფაქტია, რომელიც თავისთავად წარმოიქმნება (გაბრიელ ტარდი – მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია , გვ. 13-14).

ტარდი საინტერესო დასკვნამდე მიდის, რომ ინდივიდუალიზმის ეპოქა მასების ეპოქით იცვლება, მასების ცნობიერების არსებითი ნიშანი კი მიბაძვაა. დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ გაბრიელ დე ტარდი თავის ნაშრომს „მონადოლოგია და სოციოლოგია“ სწორედ ლაიბნიცის მონადებზე საუბრით იწყებს, რაც დამახასიათებელია მიხაკო წერეთლისათვისაც, მაგრამ ტარდს მონადოლოგიისთვის მიმართვა სჭირდება იმიტომ, რომ ხაზი გაუსვას მატერიის და გონების ერთ ელემეტში გაერთიანების შესაძლებლობას - მონადებზე დაყვანას. ის ამბობს, რომ მონადოლოგია და გარკვეულ უმცირეს ნაწილაკებამდე დაყვანა მხოლოდ ფიზიკის და ქიმიის დარგებში არ გვხვდება. როგორც სხვა ცოცხალი არსებები, დაავადებები, ქიმიური ნივთიერებები, ერებიც სხვა არაფერია თუ არა ორგანიზმები, რომლებმაც დიდი ხანია ჭეშმარიტი არსებობა შეიძინეს ე.წ. ფილოსოფიური ისტორიკოსების მიერ შეთხზული თეორიების დახმარებით (Tarde, 2012, გვ. 7-8).

ყველაფერი უსასრულოდ პატარა სიდიდისგან გამომდინარეობს, იმიტომ, რომ ეს ელემენტი უნიკალურია, რომელიც ინიციატორია გარკვეული ცვლილებების, მოძრაობის, სასიცოცხლო ევოლუციის და ფსიქიური/სოციალური ტრანსფორმაციების. თუ ყველა ეს ცვლილება ხდება თანდათანობით და უწყვეტად იმის მანიშნებელია, რომ ელემენტის ინიცირებული ქმედება განხორციელებამდე მხარდაჭერის მიღებასთან ერთად აწყდება გარკვეულ წინააღმდე-

გობებს. აქ, აღვნიშნოთ ისიც, რომ დაპირისპირება მიბაძვის აუცილებელი მომენტია. ადამიანში ყოველთვის არსებობს სულიერი ბრძოლა იმაზე, რაიმე ისურვოს თუ არ ისურვოს, რაიმე სწამდეს თუ არა. ყოველთვის მერყეობს ინდივიდი, როცა ფიქრობს იმაზე მიიღოს თუ არა ახალი იდეა, ჩვევა, ქმედება. ეს მცირე დაპირისპირებები და შინაგანი ბრძოლა უსასრულოა და ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე გვაქვს მოცემული. გარე დაპირისპირებებიც არსებობს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა შინაგანი. ეს დაპირისპირებები ნაყოფიერი შედეგის მომტანია ზოგადად ისტორიისთვის. სოციალური ფაქტის დაპირისპირება ტარდთან არ განსხვავდება ინდივიდუალური ფსიქიკური დაპირისპირებით, რადგან ეს უკანასკნელი არის პირველის საფუძველი (გაბრიელ ტარდი – მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია, გვ. 6-7).

მეცნიერების მიზანი ერთი შეხედვით სამყაროს რთულ და უამრავ შემადგენელ ნაწილებად დაყოფაა, მაგრამ ის ასევე მიისწრაფვის მატერიისა და გონების ერთიანობისაკენ. მონიზმის ეფექტური წარმოდგენის გზად ტარდი ირჩევს შემდეგს: მატერია, ნივთიერება არის გონება და არაფერი სხვა. იდეალისტური შეხედულებით ეს ნიშნავს იმას, რომ მატერიალური სამყაროც არის ჩემი და ეს ხდება ჩემი გონების მეშვეობით. ამ თეზისს თუ უარვყოფთ დაგვრჩება მონოდოლოგიური ვერსია, რომ მთლიანი გარე სამყარო შედგება სულიერი ნაწილებისგან, რომელიც ჩემი სულისგან განსხვავებულია, მაგრამ ძირეულ ასპექტებში მსგავსიც. თუ ეს ასეა ყველა გარეგანი არსების საფუძველი მსგავსია ჩვენი არსებისა. ამიტომ, გარეგანი სამყაროც აღარაა უცნობი ჩვენთვის. (Tarde, 2012, გვ. 15)

სამყაროს სულიერების წარმოსადგენად და აღსაწერად უნდა გამოვიყენოთ სულის ორი მდგომარეობა, რომელიც ზემოთ უკვე დავახასიათეთ, უფრო სწორად სულის ორი ძალა: რწმენა და სურვილი. თუმცა ტარდისთვის მნიშვნელოვანია სოციალური სფერო.

ყოველი ინდივიდი კონკრეტული და განსაზღვრული რწმენების და სურვილების მატარებელია. ეს რწმენა და სურვილი ის ელემენტარული სოციალური ფაქტია, რომელიც მეორდება საზოგადოების თითოეულ წევრში. მიბაძვის ცნებაც არ გაიგება ამ ორი ძალის გარეშე, რადგან მიბაძვა არის იმის შედეგი, რომ ადამიანებს აქვთ გარკვეული სურვილები მათი რწმენის საფუძველზე (გაბრიელ ტარდი – მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია , გვ. 5).

ერი ერთგვარად ზე-ორგანული ორგანიზმია, რომელიც შედგება კასტების, კლასების და პროფესიებისაგან, რაც ჯამში საკმაოდ განსხვავებულ საზოგადოებას ქმნის. ეს სხვაობა კარგად იჩენს თავს დენაციონალიზაციის და პირიქით, სოციალიზაციის პირობებში. მრავალ საერთო ფორმაში და ერთგვაროვნებაში ენებს და განათლებას შორის, რომელსაც ასე მივესწრაფვით, ჯერ ვერ მიაგნო საზოგადოებამ საუკეთესო გზას იმ დავალებების შესასრულებლად, რომელიც თავისთავზე აიღეს ცალკე ერებმა და ცალკე ინდივიდების გაერთიანებებნმა. ნაციონალური, ეროვნული ზოგადი ტიპი მეორდება ერის ყველა წევრში, ყველა ინდივიდში (TARDE, 1903, გვ. 65).

ტარდის მიხედვით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდივიდები, რომლებიც ქმნიან კლასებს და ერებს დღეს უფრო სწრაფად და სრულად ასიმილირდებიან. ესაა სწორედ მიბაძვა და ამ პროცესს ხელის შემშლელი ფაქტორებიც ახლავს თან.

ავსტრომარქსისტული ერის თეორიები

ტერმინი „ავსტრომარქსიზმი“ პირველად ჩრდილოეთ ამერიკელმა სოციალისტმა, მარქსიზმის თეორეტიკოსმა ლუი ბი ბუდინმა შემოიტანა. ავსტრომარქსისტ წარომადგენლებს საქართველოში დიდი გავლენა ჰქონდათ 1893-1917 წლებში, აღსანიშნავია მათი გავლენა ეროვნული პოზიციის დამცველ მოღვაწეებზე, მათ შორის მიხაკო წერეთელზეც. ის ერის თეორიების მიმოხილვის დროს დაწვრილე-

ბით განიხილავს ორ ავსტრომარქსისტ ავტორს: ოტო ბაუერს და რუდოლფ შპრინგერს. ოტო ბაუერის ცნობილი ერის განსაზღვრება მიხაკო წერეთლისათვის მხოლოდ განსაზღვრებაა, რომლითაც მტკიცდება ერის არსებობა, ქართველი მოაზროვნისთვის ეს არ არის მისი დეფინიცია. ოტო ბაუერის მიხედვით, ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა. ხასიათის ერთობა, რომ ფართო ცნებაა ამას მიხაკო წერეთელთან ერთად თავად ავტორიც ხვდება და აზუსტებს, რომ ეროვნული ხასიათი ფიზიკური და სულიერი ნიშანთა ერთობლიობაა, რომელიც ყველა ერს აქვს და რომლითაც ის გამოირჩევა სხვა ერებისგან. ავტორს ნების განსაკუთრებული წყობილებაც შემოაქვს ეროვნული ხასიათის განსაზღვრისას, რაც აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა ერში ერთი და იგივე საგანი განსხვავებულ რეაქციას იწვევს. მიხაკო წერეთლისთვის ეს მხოლოდ ერთი ერის მეორისაგან გარჩევის საშუალებაა. აქედან გამომდინარე, მისთვის ოტო ბაუერის ერის თეორია მიუღებელია.

1907 წელს პირველად გამოქვეყნდა გერმანიაში ოტო ბაუერის ცნობილი ნაშრომი *„ეროვნებათა საკითხი და სოციალ-დემოკრატია“,* ის იყო ერთადერთი ნაშრომი კლასიკური მარქსიზმისგან, რომელიც 2000 წლამდე სრულად არ იყო თარგმნილი ინგლისურად. ნაშრომის პირველი ფორმა იყო ოტო ბაუერის სადოქტორო დისერტაცია ვენის უნივერსიტეტში. ამ ნაშრომის პირველი გამოქვეყნების შემდეგ კი ბაუერი ნაციონალიზმის თეორიული და ისტორიული განხილვების წინა პლანზე მოექცა. ორთოდოქსმა და დოგმატიკოსმა მარქსისტებმა ბაუერი მკაცრად გააკრიტიკეს ერის თეორიის გამო. სტალინმა დაწერა წიგნი, რომლის მიზანიც იყო ბაუერის იდეების გაკრიტიკება. განსაკუთრებითი დიდი ყურადღება ოტო ბაუერის ერის თეორიაზე საქართველოშიც მას შემდეგ გამახვილდა, რაც ავსტრომარქსისტი თეორეტიკოსი სტალინმა გააკრიტიკა. სტალინი ოტო ბაუერის ერის თეორიას განიხილავდა საკუთარ ნაშრომში *„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.* ოტო ბაუერი იმ ნიშან-

თვისებებს, რასაც სტალინი ერის განმსაზღვრელად მიიჩნევს, უწოდებს მხოლოდ ერის ცხოვრების პირობებს, მისთვის მხოლოდ ეროვნული ხასიათია ერის განსაზღვრის მთავარი საშუალება. სტალინის მოსაზრებით, ოტო ბაუერის ერის დეფინიცია უფრო მეტად არის მისტიკური, ვიდრე რეალური. ოტო ბაუერი ცდილობდა აეხსნა ეროვნული მახასიათებლები და განსხვავებები, როგორც კულტურული დიფერენციაციისა და ინტეგრაციის რთული პროცესის შედეგი. მან ეროვნული საზოგადოების არსებობის გამოხატულებას ერის თითოეულ წევრში უწოდა „ეროვნული ხასიათი“. ავტორს ეროვნული ხასიათი ესმოდა, როგორც ისტორიულად მოდიფიცირებული მახასიათებელი, რომელიც აკავშირებს ეროვნული საზოგადოების წევრებს მოცემულ ისტორიულ პერიოდში. ერთი თაობის მეორე თაობასთან კავშირი არ გულისხმობს უცვლელი ეროვნული ფასეულობების გადაცემას, მაგრამ ფაქტად რჩება ის, რომ თანამედროვე თაობები არ მოქმედებენ იზოლირებულად, ვაკუუმში. ისინი შედიან იმ სოციალურ ასპარეზზე, რომელიც წინა თაობებმა ჩამოაყალიბეს არსებული გარემოებებიდან. ეროვნული ხასიათი შეიძლება შეიცვალოს ისტორიული გარემოებების გამო, ასევე, თანამედროვე გამოცდილებითაც, რომელიც იწვევს ჯგუფის კულტურის ცვლილებას. სწორედ ამ მიზეზით, არ არის მართებული მხოლოდ წინა თაობების გამოცდილებაზე ხაზგასმა. ოტო ბაუერის დასკვნით, ორივე განზომილების კვეთა, ისტორიული და თანამედროვე, არის ცენტრალური კომპონენტი ეროვნული ხასიათის თანამედროვე ცნების განსაზღვრისას (Bauer, 2000, გვ. xxxvi).

ისტორიული მემკვიდრეობის თანამედროვე განზომილებების ასახსნელად, რომელმაც ჩამოაყალიბა სხვადასხვა ეროვნული საზოგადოებები, ბაუერმა წამოაყენა მისი თეორიის მეორე ძირითადი კონცეფცია: ერი არის „ბედის ერთობით შექმნილი საზოგადოება“. ოტო ბაუერი არ იყო პირველი, ვინც ეს ცნებები გამოიყენა. მანამდე მას ვხვდებით ფრიდრიხ ნიცშესთან და ედუარდ ფონ ჰარტმანთან.

ორივე მათგანი ცნებას იყენებს მოვლენების სერიის მნიშვნელობით, რომელიც არ არის აქტიური ან სასურველი, მაგრამ, რომელიც ხდება სუბიექტის წინასწარგანზრახული მოქმედებების მიღმა, სუბიექტები კი განიცდიან ამ ქმედებების გავლენას. ოტო ბაუერთან ეს ცნება არის ისტორიული გარემოებების რთულად აღსაქმელი არსებობა, რომელიც წინ უსწრებს და გავლენას ახდენს ცნობიერებაზე (Bauer, 2000, გვ. xxxix-xl).

ოტო ბაუერისთვის ერის დეფინიცია დაახლოებით ასე ყალიბდება: ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა. ნებისმიერ მოცემულ ეპოქაში შეიძლება ერის წევრთა უმრავლესობაში შესაბამისი მახასიათებლების სპექტრის აღმოჩენა. არსებობს მთელი რიგი მახასიათებლები, რომლებიც სპეციფიკურია თითოეული ერისთვის და სწორედ ამით განსხვავდებიან სხვა ერებისგან. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ერი არ არის ხასიათის აბსოლუტური ერთობა, რადგან ერის ინდივიდუალურ წევრებს, იმის მიუხედავად, რომ მათ აქვთ საერთო ეროვნული მახასიათებლები, ასევე, აქვთ ინდივიდუალური მახასიათებლები (ადგილობრივი, კლასობრივი, პროფესიული...), რომლებიც განასხვავებს მათ ერთმანეთისგანაც (Bauer, 2000, გვ. 22).

მანამდე, სანამ ოტო ბაუერი ერის თეორიის შესახებ ძირითად ნაშრომს შექმნიდა, საქართველოში უკვე იცნობდნენ და თარგმნიდნენ კარლ რენერის (1870-1950) შეხედულებებს. მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე კარლ რენერი მუშაობდა ძირითადად სამართლებრივ საკითხებზე და აქვეყნებდა საკუთარ ინოვაციურ მოსაზრებებს სხვადასხვა ფსევდონიმებით, რომელთა შორისაც ყველზე ცნობილი იყო - რუდოლფ შპრინგერი. მიხაკო წერეთელი ოტო ბაუერზე მეტ ყურადღებას უთმობს რუდოლფ შპრინგერს, დაწვრილებით განიხილავს ავსტრომარქსისტს ნაშრომში *„ერი და კაცობრიობა“.* შპრინგერის წიგნს „ნაციონალური პრობლემა“ მიხაკო წერეთელი „ერის უფლებათა“ ტრაქტატს უწოდებს. ქართველი მოაზროვნის შეხედულებით, შპრინგერის ანალიზი უმთავრესად იურიდიულია და არა

სოციოლოგიური. ამის მიუხედავად, მიხაკო წერეთელი აღფრთოვანებულია შპრინგერის „პერსონალური პრინციპით“, რომელსაც ის ეროვნული იდეის პოსტულატად ასახელებს. შპრინგერს სახელმწიფოთა დაშლა და კერძოდ ავსტრიის სახელმწიფოს დაშლა არ მიაჩნია სასარგებლოდ ერთა განთავისუფლებისათვის. მიხაკო წერეთელი კი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ერის პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოთა დაუშლელად (წერეთელი, 1990, გვ. 222-223).

რუდოლფ შპრინგერი საუბრობს სახელმწიფოს და ერის კომპეტენციების გამიჯვნაზე და ამის მაგალითად მოჰყავს სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთმიმართება, რადგან რელიგია და ერი ერთი რამით ჰგავს ერთმანეთს: მათ მისწრაფება აქვთ საკუთარი სფეროდან გავიდნენ და ყველა სახელმწიფო საქმეები დაიქვემდებარონ. სახელმწიფომ გამოჰყო ეკლესიის კომპეტენცია. ეროვნულ საკითხიც ასე უნდა გადაწყდეს. რადგან ერი ორგანული ნაწილია სახელმწიფოსი უფრო რთულად მოსაგვარებელია ეს საკითხი. ბევრის აზრით, ერის გამოყოფა მხოლოდ ტერიტორიულად შეიძლება. ერმა, რომელმაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ვერ მოახერხა, უნდა იცხოვროს საკუთარ ტერიტორიაზე სრულიად დამოუკიდებლად და მონაწილეობას იღებდეს საერთო სახელმწიფოს გაძღოლაში. გამოდის, რომ მრავალეროვნული სახელმწიფოს და ერის ინტერესების და კომპეტენციის გამყოფი ტერიტორიაა. ავსტრომარქსისტის აზრით, რეალურად ეს პრინციპი ტერიტორია ვერ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში, ტერიტორიის გარეთ მცხოვრები ერის წევრები სხვა ერების მსხვერპლად განწირულები იქნებიან. დაირღვევა ერის მთლიანობა. ტერიტორიული საკითხი ჰქმნის ეროვნულ ბრძოლას, რომელიც დაუსრულებელია (მაგალითია ავსტრია, სადაც ეს გადაუწყვეტელი კონფლიქტი სტატიის დაწერის დროისთვის ორმოცდაათი წელი იყო, რაც გრძელდებოდა).

შპრინგერი მიდის საკამათო დასკვნამდე, რომ ეროვნებას თავისი ბუნებით დამოკიდებულება არ აქვს მიწასთან, ტერიტორიას-

თან. ერი თანამედროვე ადამიანთა კულტურული საზოგადოებაა, რომელიც აღარ არის მიჯაჭვული ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე. დღეს სოციალური დამოკიდებულება იჭერს ტერიტორიულის ადგილს. ადამიანი უფრო ახლოსაა ადამიანთან, ვიდრე მიწასთან. დაჩქარებული გლობალიზაციის პროცესი და მოსახლეობის სწრაფი გადაადგილება განაპირობებს იმას, რომ ადამიანი დამოუკიდებელი გახდა ტერიტორიისგან. ერი კი ტერიტორიული კავშირის ნაცვლად პიროვნული კავშირია. ამ შეხედულების მომხრეთათვის, ერი წმინდა პიროვნულ-ეროვნული კავშირია (შპრინგერი, 1905, გვ. 2).

დასკვნა

ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების პოლიტიკურ ფაზაში ევროპულ კულტურაზე, ევროპულ ერის თეორიებზე ორიენტირება ქართველი პოლიტიკური ელიტის მიერ საზოგადოებისთვის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთ საშუალებათ ითვლებოდა. სწორედ ეს განაპირობებდა ქართველი პოლიტიკური და კულტურული ელიტის მიერ ევროპული ერის თეორიების დეტალურ შესწავლას. არც მიხაკო წერეთელი ყოფილა გამონაკლისი, მან გაანალიზა სოლომონ რეინაკის, ერნესტ ნისის, პასკვალე სტანისლაო მანჩინის, იოჰან კასპარ ბლუნჩლის, ერნესტ რენანის, დე-გრეფის, რენე ვორმსის, ტარდის, ოტო ბაუერის, რუდოლფ შპრინგერის თეორიები ერის შესახებ ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ (1910 წ.).

არ არის გასაკვირი, რომ მიხაკო წერეთელი ჩამოთვლილი ერის თეორიების უმეტესობას აკრიტიკებს, რადგან ევროპაში შექმნილი თეორიები ზუსტად ვერ ხსნიდა დამოუკიდებლობა დაკარგული ქართველი ერის ფორმირების შემთხვევას და იმ გარემო ფაქტორებს ნაკლებად ითვალისწინებდა, რომელშიც ქართველ ერს უწევდა საერთო ფასეულობებისთვის ბრძოლა. კრიტიკის მიუხედავად, ყველაზე დიდი გავლენა მიხაკო წერეთელზე პასკვილე სტანისლაო

მანჩინის ერის თეორიამ მოახდინა, რომელსაც ქართველი მოაზროვნე პირდაპირ უწოდებს იმ პერიოდში ერის თეორიის შემუშავების საუკეთესო მცდელობას. მიხაკო წერეთლისთვის მნიშვნელოვანი იყო კარლ რენერის, ანუ რუდოლფ შპრინგერის, მიერ შემუშავებული „პერსონალური პრინციპიც“, რომლითაც ავსტრომარქსისტი მივიდა საკამათო დასკვნამდე, რომ ეროვნებას თავისი ბუნებით დამოკიდებულება არ აქვს მიწასთან, ტერიტორიასთან. ამ პრინციპს მიხაკო წერეთელი ეროვნული იდეის პოსტულატად ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ერის ევროპული თეორიების განხილვის და გაკრიტიკების პარალელურად მიხაკო წერეთელი აყალიბებს საკუთარ ერის დეფინიციას: *„ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი მრავალი ეთნიკური და სოციალური ჯგუფისგან, რომლებსაც შეუძლიათ დროის გასვლის შემდეგ შექმნან ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრების შემადგენელი ერთეულები, შექმნან ერთი საზოგადოება თავისი ინდივიდუალური ორგანოებით: ენით, მეცნიერებით, ეთიკით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით“.*

ბიბლიოგრაფია

Bartolini, G. (2020). *A History of International Law in Italy (The History and Theory of International Law).* Oxford University Press.

Bauer, O. (2000). *The Question of Nationalities and Social Democracy.* Minneapolis • London: University of Minnesota Press.

Bluntschli, J. K. (2000). *The Theory of the State.* Kitchener: Batoche Books.

Dhondt, F. (2015, ივნისი 08). 'Inter ruinas publicas scriptum': Ernest Nys, a legal historian in. *Comparative Legal History*.

Jones&Roffe. (2009). *Deleuze's Philosophical Lineage.* Edinburgh: EDINBURGH UNIVERSITY PRESS.

Mosbah-Natanson, S. (2014, ივლისი). The Forgotten One of the Triad: Why Did Rene Worms, and Not Emile Durkheim or Gabriel Tarde, Fail ?

NYS, E. (1879). *THE PAPACY CONSIDERED IN RELATION TO INTERNATIONAL LAW.* LONDON.

TARDE, G. (1903). *THE LAWS OF IMITATION.* NEW YORK: HENRY HOLT AND COMPANY.

Tarde, G. (2012). *Monadology and Sociology.* Melbourne: re.press.

Worms, R. (1895). Sociology and Political Economy. *American Journal of Sociology*.

გაბრიელ ტარდი – მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლ-ოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია . (n.d.). Retrieved from http://www.socium.ge/downloads/protosocteoria/g-tardi-mibadzvis-teoria-sociologiashi.pdf

შპრინგერი, რ. (1905). ერი და სახელმწიფო. *ცნობის ფურცელი, №2793*.

წერეთელი, მ. (1990). *ერი და კაცობრიობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Nino Maisuradze

European theories of the nation discussed by Mikhako Tsereteli ("Nation and Mankind") ••

Abstract

Georgia's socioeconomic problems were accompanied by the issue of independence from 1893 to 1917. Georgia was a part of the Russian Empire, and thus the political events in Russia had an impact on Georgian reality. To restore and consolidate national unity, a segment of Georgia's political elite chose a policy oriented toward Europe, with the concepts of the nation developed by famous European authors serving as a theoretical foundation. Mikhako Tsereteli's 1910 book "Nation and Mankind," in which the author distinguishes all the European nation's concepts that were relevant in Georgia and had a certain influence on him, is a way to study the theories of the European nation that had an influence in Georgia between 1893 and 1917. Secondary research and content analysis are used in this qualitative research.

Keywords: the concept of nation, Mikhako Tsereteli, the theories of nation.

•• This research [№ PHDF-22-3237] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNFG).